The model of environmental monitoring intellectual system is proposed. The basic part of intellectual system is presented in the form of two basic modules: data collector module and environmental assessment module. The data collector module helps solve data presentation problem by the method presented below. The method is based on the fuzzy sets theory which allows reducing data to the homogeneous form of representation in databases of intellectual system. Environmental assessment module is based on theoretical model using artificial conceptual intellect method, where environment possible large amount of state characteristic parameters will be united and we have possibility of treatment.

### REFERENCES

1. Khachidze, M. (1998) Some Ways of Representing Incomplete and Indefinite Information in the Ecointellectual system Databases. *Ecoinformatics Problems*, Moscow, pp. 152-154.
2. Zadeh, L.A (1977) Fuzzy sets and their applications to classification and clustering. In J. Van Ryzin J. (Ed.), *Classification and Clustering* (pp. 251-299). New York: Academic Press.
3. Chavchanidze, V.V. (1973) Towards the General Theory of Conceptual Systems., V3, N1 London, Kybernetes.
4. Khachidze, M., (1997) Classification of Complex Systems Described Over Fuzzy Sets by Use of the Method of Analytical Heuristics. *Bulletin of Georgian Academy of Sciences*, vol. 156, no. 3, pp.381-384.
5. Stair, RM & Reynolds, GW (2006) *Principles of Inetelectual systems: A Managerial Approach* 7th ed, Thomson, Massachusetts
6. The European Environment Agency (EEA). <http://www.eea.europa.eu>

**ოპტიმალური სტრატეგია მარაგთა მართვის ერთი ალბათური მოდელისათვის.**

ფ. დვალაშვილი

ნაშრომში მარაგთა მართვის ერთი ალბათური მოდელისათვის აგებულია ოპტიმალური სტრატეგია, მოყვანილია კონკრეტული რიცხვითი მახასიათებლების გამოსათვლელი ფორმულები. ანალიტიკური საკითხები სხვადასხვა მოდელისათვის მოყვანილია ნაშრომებში [1], [2], [3].

ვთქვათ,  $t-1$  დღის ბოლოს საწყობშია  $x_{t-1} \geq 0$  მარაგი. კეთდება შეკვეთა  $h_t$  რაოდენობაზე მეორე დღისათვის.  $S_t$  იყოს  $t$  დღეს პროდუქციაზე მოთხოვნის მოცულობა.

თუ  $S_t \leq x_{t-1} + h_t$  მოთხოვნა მთლიანად სრულდება და დღის ბოლოს რჩება  $x_t = x_{t-1} + h_t - S_t$  რაოდენობა. შენახვის ხარჯი იქნება

$$cx_t = c(x_{t-1} + h_t - S_t), \text{ სადა } c \text{ არის ერთეულის შენახვის ხარჯი.}$$

თუ  $S_t > x_{t-1} + h_t$ , მაშინ იქმნება დეფიციტი. ცხადია, რომ სასაწყობო ხარჯი ამ შემთხვევაში არ იქნება, მაგრამ იქნება დანაკარგი დეფიციტის გამო (მაგ. ჯარიმა). ეს დანაკარგი ტოლია

$K(S_t - x_{t-1} - h_t) = -K(x_{t-1} + h_t - S_t)$ , სადაც  $K$  არის პროდუქციის ერთეულის დეფიციტის დანაკარგი.

მთლიანი დანახარჯი შეგვიძლია შემდგენიარად ჩავწეროთ:

$$\varphi(x_{t-1}, h_t, S_t) = \max\{c(x_{t-1} + h_t - S_t), -K(x_{t-1} + h_t - S_t)\}$$

ცხადია, რომ  $x_t = \max\{0, x_{t-1} + h_t - S_t\}$ ,

$$\varphi(x_t) = \begin{cases} cx_t, & \text{თუ } x_t > 0, \\ -Kx_t, & \text{თუ } x_t < 0, \\ 0, & \text{თუ } x_t = 0. \end{cases}$$

პროდუქციაზე მოთხოვნა შემთხვევითი სიდიდეა. მისი სიმკვრივის ფუნქცია იყოს  $f(x)$ , განაწილების ფუნქცია  $F(x)$ . დავსვათ ამოცანა: ვიპოვოთ მარაგის შევსების ისეთი  $h_t$  მოცულობა, რომ საშუალო დანაკარგი (მათემატიკური ღირებულება) იყოს მინიმალური:

$$\Phi(x_{t-1} + h_t) = M\varphi(x_{t-1}, h_t, S_t) = \int_{-\infty}^{+\infty} \varphi(x_{t-1}, h_t, S_t) dF(S_t) \rightarrow \min$$

აღვნიშნოთ  $y = x_{t-1} + h_t$ ,  $S_t = S$ , მაშინ გვექნება:

$$\Phi(y) = \int_{-\infty}^{+\infty} \max\{c(y - S), -K(y - S)\} dF(S) \rightarrow \min. \quad (1)$$

$\Phi(y)$  შეგვიძლია ჩავწეროთ შემდგენიარად:

$$\Phi(y) = c \int_{-\infty}^{+\infty} (y - S) dF(S) + K \int_{-\infty}^{+\infty} (S - y) dF(S).$$

გამოვთვალოთ  $\Phi(y)$ -ის წარმოებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ  $F' = f$  მივიღებთ:

$$\begin{aligned} \Phi'(y) &= (cyF(y))' - cyf(y) - Kyf(y) - (Ky - KyF(y))' = \\ &= cF(y) - K + KF(y) = (c + K)F(y) - K. \end{aligned} \quad (2)$$

$$\Phi''(y) = (c + K)F'(y) = (c + K)f(y) \geq 0.$$

მინიმუმის წერტილი განისაზღვრება  $\Phi'(y) = 0$  განტოლებიდან.


ი.ე.

$$F(y) = \frac{K}{c + K}. \quad (3)$$

ვთქვათ ამ განტოლების ამონახსნია  $y = y^*$ . მაშინ მარაგთა შევსების ოპტიმალური  $h_t^*$  მოცულობა იქნება:


$$h_t^* = \begin{cases} 0, & \text{თუ } x_{t-1} \geq y^*, \\ y^* - x_{t-1}, & \text{თუ } x_{t-1} < y^*. \end{cases}$$

განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა. ვთქვათ,  $S$  მოთხოვნის, როგორც შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივეს აქვს სიმეტრიული "სამკუთხა" განაწილება. ასეთი განაწილების სიმკვრივის  $f(x)$  ფუნქციის გრაფიკია (ნახ. 1):



(ნახ. 1)

ცხადია, რომ ეს გრაფიკი მიიღება (ნახ. 2)-ზე მოცემული ფუნქციის გრაფიკის მარჯვნივ  $a$  ერთეულით გადატანით



(ნახ. 2)

მარტივად შეგვიძლია ჩავწეროთ ეს უკანასკნელი ანალიზური სახით:

$$f(x) = \begin{cases} 0, & \text{თუ } x \leq -b, \\ \frac{x+b}{b^2}, & \text{თუ } -b < x \leq 0, \\ \frac{-x+b}{b^2}, & \text{თუ } 0 < x \leq b, \\ 0, & \text{თუ } x \geq b. \end{cases}$$

განაწილების ფუნქცია იქნება:

$$F(x) = \begin{cases} 0, & \text{თუ } x \leq -b, \\ \frac{(x+b)^2}{2b^2}, & \text{თუ } -b < x \leq 0, \\ 1 - \frac{(x-b)^2}{2b^2}, & \text{თუ } 0 < x \leq b, \\ 1, & \text{თუ } x \geq b. \end{cases} \quad (4)$$

$S$  შემთხვევითი სიდიდის რიცხვითი მახასიათებლები იქნება: მათემატიკური ლოდინი  $MS = 0$ , დისპერსია  $DS = \frac{b^2}{6}$ , საშუალო კვადრატული გადახრაა  $\sigma = \frac{b}{\sqrt{6}}$ .

უშუალოდ (1)-დან მივიღებთ:

თუ  $x \leq -b$ , მაშინ

$$\Phi(x) = -K \int_{-\infty}^{+\infty} (x-S)f(S)dS = -Kx \int_{-\infty}^{+\infty} f(x)dS + K \int_{-\infty}^{+\infty} Sf(S)dS = -Kx + KMS = -Kx. \quad (5)$$

თუ  $-b \leq x \leq 0$ , მაშინ (2) და (4) გათვალისწინებით მივიღებთ

$$\Phi(x) = (c + K) \frac{(x + b)^3}{6b^2} - Kx + c_1. \quad (6)$$

(5) და (6) ერთმანეთის ტოლია როცა  $x = -b$ . ამიტომ

$$Kb = Kb + c_1, \quad \text{ე.ი.} \quad c_1 = 0.$$

ანალოგიურად, თუ  $0 \leq x \leq b$ . მივიღებთ:

$$\Phi(x) = -(c + K) \frac{(x - b)^3}{6b^2} + cx. \quad (7)$$

თუ

$$x \geq b, \quad \Phi(x) = cx. \quad (8)$$

მიღებული (5)-(8) ფორმულები გვაძლევს საშუალო დანაკარგებს სხვადასხვა ინტერვალში, ხოლო მარაგების ოპტიმალური მნიშვნელობა  $y^*$  წარმოადგენს (3) განტოლების ამონახსნს, სადაც  $F(x)$  მოიცემა (4) ფორმულით. თუ მოთხოვნის სიმკვრივის ფუნქციას აქვს (ნახ. 1) მოყვანილი სახე, მაშინ ანალოგიურად, უშუალო გამოთვლებით მივიღებთ მარაგების ოპტიმალურ მნიშვნელობას  $y^*$  და საშუალო მინიმალური დანაკარგის  $\Phi^* = \Phi(y^*)$  გამოსათვლელ ფორმულებს:

$$y^* = \begin{cases} a - b + \sqrt{\frac{2K}{c+K}} \cdot b, & \text{თუ } c > K, \\ a, & \text{თუ } c = K, \\ a + b - \sqrt{\frac{2c}{c+K}} \cdot b, & \text{თუ } c < K. \end{cases}$$


$$\Phi^* = \begin{cases} bK \left( 1 - \frac{2}{3} \sqrt{\frac{2K}{c+K}} \right), & \text{თუ } c > K, \\ \frac{bK}{3} = \frac{bc}{3}, & \text{თუ } c = K, \\ bc \left( 1 - \frac{2}{3} \sqrt{\frac{2c}{c+K}} \right), & \text{თუ } c < K. \end{cases}$$

ამასთან მარაგთა შევსების ოპტიმალური სტრატეგია მოიცემა ფორმულით:

$$h_t^* = \begin{cases} 0, & \text{თუ } x_{t-1} \geq y^*, \\ y^* - x_{t-1}, & \text{თუ } x_{t-1} < y^*. \end{cases}$$

### რეზიუმე


მარაგთა მართვის ალბათურ მოდელებში, კონკრეტული რიცხვითი მახასიათებლები განისაზღვრებიან მოთხოვნის, როგორც შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივის ფუნქციის საშუალებით. ნაშრომში განხილულია შემთხვევა, როდესაც განაწილების სიმკვრივის  $f(x)$  ფუნქციას აქვს სიმეტრიული "სამკუთხა" განაწილება:



მოყვანილი შემთხვევისათვის აგებულია მარაგთა მართვის ოპტიმალური სტრატეგია, კერძოდ გამოთვლილია ოპტიმალური მარაგის რიცხვითი მნიშვნელობები და საშუალო მინიმალური დანაკარგი.

## Summary

In Inventory control models the concrete number characteristics defined using with demand function, such as probability density function of random variable. In an article considered case, where density function  $f(x)$  has symmetrical "triangle" distribution:



For the given case it is built optimal strategy of inventory reserve, particularly calculated optimal inventory values and mean minimal expenses.

შ ო ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Х. Таха. Введение в исследование операций, Т 1, Москва "мир" 1985.
2. Дж. Букан, Э. Кенигсберг. Научное управление запасами, Изд. "Наука", главная редакция физико-математической литературы, Москва 1967.
3. Дж. Хедли, Т. Уайтин. Анализ систем управления запасами. Изд. "Наука". Москва 1969.

## A COMPARISON OF THE CONNECTIVITY ANALYSIS AND THE CLUSTERING METHOD BASED UPON FUZZY EQUIVALENCE RELATIONS FOR THE PROBLEMS OF MEDICAL DIAGNOSES

*Tatiana Kiseliova*

Abstract

Formalisation of a physician's intuition can be split into different tasks. One is the ability of an experienced doctor to establish a diagnosis using the small amount of observations on a patient. The doctor pays attention on the symptoms that represent a disease the best way. To get these representative symptoms is not an easy task, because very often a physician uses his knowledge intuitively. To model such task approaches processed vague information as connectivity analysis [1,2] and clustering methods based upon fuzzy equivalence relations [3] are suitable.

In the paper these two methods are compared. Similar from the first glance (the connectivity analysis calculates the level of connections of the representative symptoms whereas the clustering method uses  $\alpha$ -cuts to build them) the methods reveal best and worst characteristics, that allow to use them more efficiently.

### ბმულობის ანალიზისა და ფაზი-ექვივალენტობის მიმართებებზე დაფუძნებული კლასტერული მეთოდის შედარება სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანებისთვის ტატიანა კისელიოვა

ექიმის ინტუიციის ფორმალიზაცია შესაძლებელია გაიყოს სხვადასხვა ამოცანებით. ერთი მათგანია გამოცდილი ექიმის უნარი დასვას დიაგნოზი პაციენტის ავადმყოფობაზე ცოტა რაოდენობის მონაცემთა გამოყენებით. ექიმი აქცევს ყურადღებას სიმპტომებს, რომლებიც წარმოადგენენ ავადმყოფობის დადგენის გზას. წარმოდგენილი სიმპტომების მიღება არ არის ადვილი ამოცანა, ვინაიდან ექიმები ძალიან ხშირად იყენებენ თავისი გამოცდილების ინტუიციას. ასეთი ამოცანის მოდელირებისათვის, გამოიყენება არამკაფიო ინფორმაციის, როგორც კავშირის ანალიზით დამუშავების მიდგომა [1,2] და კლასტერული მეთოდი, დაფუძნებული ფაზი-ექვივალენტობის მიმართებებზე [3], არის მისადაგებული.

ამ ნაშრომში ხორციელდება ამ ორი მეთოდის შედარება. ერთი შეხედვით (კავშირის ანალიზი გამოითვლის წარმოდგენილი სიმპტომების კავშირების დონეებს, როდესაც კლასტერული მეთოდი იყენებს  $\alpha$ -კვეთას) ეს მეთოდები ავლენენ ძლიერ და სუსტ მახასიათებლებს, იმისათვის, რომ ისინი გამოყენებულ იქნენ ეფექტურად.

#### ლიტერატურა.

- [1] J. F. Baldwin, B. W. Pilsworth, and D. Norris. Medical diagnoses from patient records. *Fuzzy Sets and Systems*, 23:73–87, 1987.
- [2] T. Kiseliova and S. Krajčiči. Generation of representative symptoms based on fuzzy concept lattices. In B. Reusch, editor, *International Conference on Computational Intelligence*, 8. *Fuzzy Days in Dortmund*, pages 349–356, Dortmund, Germany, September 30 - October 2, 2004. Springer-Verlag Heidelberg.
- [3] G. J. Klir and B. Yuan. *Fuzzy Sets and Fuzzy Logic. Theory and Applications*. Prentice Hall PTR, 1995.

## ელექტრონული არჩევნების კრიპტოგრაფიული პროტოკოლების შესახებ მ.რაზმაძე, ზ.ქოჩლაძე, ა.ჯიქია

ელექტრონული არჩევნები (ელექტრონული ხმის მიცემა), თავის თავში მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ ფორმას დაწყებული ხმათა ელექტრონული ფორმით დათვლიდან (რომელიც ფართოდ გამოიყენება), დამთავრებული არჩევნების ყველა პროცესის კომპიუტერიზაციით [1,2,3,4]. ელექტრონული არჩევნების ტექნოლოგიებს შეუძლიათ დააჩქარონ არჩევნების ჩატარება, უზრუნველყონ ამომრჩეველთათვის არჩევნების პროცედურების გამარტივება, არჩევნების ფარული და გაუყალბებლობა და ხელი შეუშალონ ხმათა მოსყიდვას.

ელექტრონული არჩევნების იდეალური პროტოკოლი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ შემდეგ კრიტერიუმებს [5,6]:

1. ხმის მიცემა უნდა შეძლოს მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა;
2. თითოეულ ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ერთხელ;
3. ვერაინ უნდა შეძლოს იმის გაგება, თუ ვის მისცა ხმა კონკრეტულმა ამომრჩეველმა;
4. ვერაინ უნდა შეძლოს სხვის მაგივრად ხმის მიცემა;
5. ვერაინ უნდა შეძლოს ფარულად შეცვალოს სხვის მიერ გაკეთებული არჩევანი;
6. თითოეულ ამომრჩეველს უნდა შეეძლოს შეამოწმოს ჩაითვალა თუ არა მისი ხმა საბოლოო შედეგებში.

ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება საკმაოდ რთული ამოცანაა. პირველი კრიტერიუმი, პრაქტიკულად წარმოადგენს საარჩევნო სიების შექმნას და მათ დაზუსტებას. არსებულ პროტოკოლებს ეს კრიტერიუმი შეუძლიათ დააკმაყოფილონ მხოლოდ ნაწილობრივ და ამ მხრივ რადიკალური გაუმჯობესება ალბათ არც მომავალშია მოსალოდნელი. საქმე იმაშია, რომ ამომრჩეველთა სია თითქმის ყველა ქვეყანაში დგება იუსტიციის სამინისტროს მიერ და თუ ამ დონეზე ხდება სიების გაყალბება (და ამის მაგალითები არსებობს მსოფლიოში), ეს შესაძლებელია აღმოჩენილი და შესწორებული იქნეს მხოლოდ საარჩევნო კომისიის და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიერ. ნებისმიერ კომპიუტერულ სისტემას შეუძლია აღმოაჩინოს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც ხმას აძლევს პირი, რომელსაც ამის უფლება არა აქვს.

მეორე კრიტერიუმი შედარებით ადვილი დასაკმაყოფილებელია ნებისმიერი პროტოკოლის საშუალებით, მაგრამ რაც შეეხება დანარჩენ კრიტერიუმებს, მათი უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მაღალი საიმედოობის კრიპტოგრაფიული პროტოკოლის საშუალებით. ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა პროტოკოლები [6,7,8], რომლებიც მტ-ნაკლები წარმატებით უზრუნველყოფენ ზემოთხსენებული კრიტერიუმების შესრულებას და შესაბამისად მათი შესრულებაც მოითხოვს ამომრჩევლისაგან სხვადასხვა დონის სპეციალურ ცოდნას და არჩევნების შესაბამის ტექნიკურ აღჭურვას.

ჩვენს მიერ დამუშავებული იქნა რამდენიმე პროტოკოლი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთ პირობებში, როდესაც ამომრჩეველთა რაოდენობა შეზღუდულია (მაგალითად უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, ქვეყნის პარლამენტი ან სხვა რაიმე ორგანო, სადაც ხშირია ფარული არჩევნების აუცილებლობა).

### *არჩევნების პროტოკოლი საარჩევნო კომისიის გარეშე.*

დავუშვათ, არჩევნებში მონაწილეობს შეზღუდული რაოდენობის ამომრჩეველი (იმისათვის, რომ პროტოკოლის აღწერამ არ დაიკავოს დიდი ადგილი, ჩვენ შევჩერდებით ოთხ ამომრჩეველზე: ანი – **A**, ბექა – **B**, გია – **G** და დათო – **D**. ყველა მათგანს გააჩნია დაშიფრვის ღია გასაღები  $E_A, E_B, E_G, E_D$  და ხელმოწერის დახურული გასაღები  $S_A, S_B, S_G, S_D$ . დავუშვათ, ანი (**A**) არის პასუხისმგებელი პირი არჩევნების ჩატარებაზე. პირველ ეტაპზე (**A**) ირჩევს შემთხვევით რიცხვს  $R_1$ , შიფრავს მას ყველა მონაწილის ღია გასაღებებით და მიღებულ შედეგებს  $E_B(R_1), E_G(R_1), E_D(R)$  შესაბამისად უგზავნის დანარჩენ მონაწილეებს. (**B**), (**G**) და (**D**) გაშიფრავენ მიღებულ შეტყობინებას, კვლავ დაშიფრავენ ამ შემთხვევით რიცხვს დანარჩენი მონაწილეების ღია გასაღებებით და უგზავნიან ერთმანეთს. ყველა მონაწილე ადარებს დანარჩენებისაგან მიღებულ შემთხვევით სიდიდეს ანისაგან მიღებულ  $R_1$  სიდიდესთან და დარწმუნდებიან, რომ ყველამ მიიღო ერთი და იგივე რიცხვი.



პროტოკოლის ეს ეტაპი აუცილებელია, რათა არჩევნებში არ მიიღოს მონაწილეობა პირმა, რომელიც არ არის უფლებამოსილი და გარდა ამისა, თუ ანი არ არის პატიოსანი და უნდა გაიგოს რა არჩევანი გააკეთა თითოეულმა მონაწილემ, ის სხვადასხვა პირებს გაუზიარებს სხვადასხვა რიცხვებს და ეცოდინება მათი არჩევანი.

მეორე ეტაპზე უკვე ტარდება ხმის მიცემის პროცედურა. თითოეული მონაწილე აირჩევს თავის შემთხვევით რიცხვს  $R_2$ , რომელსაც არავის ატყობინებს, გააკეთებს არჩევანს და შევსებულ საარჩევნო ბიულეტენს  $V$ -ს და შემთხვევით სიდიდეს  $R_2$ -ს დაშიფრავს ბექას ღია გასაღებით. მიღებულ შედეგს  $E_B(V, R_2)$  ამომრჩეველი დაიმასხვორებს და შემდეგ ამ მიღებულ სიდიდეს და შემთხვევით  $R_1$  სიდიდეს დაშიფრავს უკვე ანის ღია გასაღებით. მიღება სიდიდე  $E_A(R_1, E_B(V, R_2))$ , რომელსაც ამომრჩეველი კვლავ იმასხვორებს და ამავე დროს უზიარებს ანის.

$R_2$  სიდიდე გვჭირდება იმისათვის, რომ თითოეულმა ამომრჩეველმა შეამოწმოს გაითვალისწინეს თუ არა მისი ხმა არჩევნების შედეგებში. ბიულეტენები იშიფრება ბექას ღია გასაღებით იმიტომ, რომ თუ დაეშიფრავდით ანის ღია გასაღებით და ანი გახსნიდა ბიულეტენებს, რადგანაც მან იცის თუ რომელი ბიულეტენი ვისგან მიიღო, მაშინ მას ეცოდინებოდა ვის მისცა ხმა ამა თუ იმ ამომრჩეველმა. იგივე მიზეზით ბიულეტენები არ ეგზავნება პირდაპირ ბექას, რომელმაც უნდა გახსნას ეს ბიულეტენები.  $R_1$  სიდიდე საჭიროა, რათა ანი დარწმუნდეს, რომ ბიულეტენი მიიღო ნამდვილად იმ პირისაგან, ვინც უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. თუ რომელიმე ამომრჩეველი არაკეთილსინდისიერია და გაამჟღავნებს  $R_1$  სიდიდეს და მის მაგივრად სხვა მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ამას ვერც ანი და ვერც სხვა ვერ გაიგებს. იურიდიულ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველმა თავისი ხმა გადასცა სხვას, რაც კანონით არ ისჯება, მაგრამ თუ ამომრჩეველი გაამჟღავნებს  $R_1$  სიდიდეს და მასთან ერთად სხვაც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ანის დაუგროვდება იმაზე მეტი ბიულეტენი, რამდენიც მას უნდა მიეღო და ის არჩევნების შედეგებს გააუქმებს და მოითხოვს კენჭისყრის ხელახლად ჩატარებას. თუ მოხდება ისე, რომ ანი შეეცდება შეცვალოს ამომრჩეველის ბიულეტენი სხვა ბიულეტენით, ეს გამჟღავნდება შემდეგ ეტაპებზე.

მესამე ეტაპზე ანი მიიღებს რა  $E_A(R_1, E_B(V, R_2))$  სახის ყველა შეტყობინებას, დაითვლის მათ, დაშიფრავს, დარწმუნდება რომ ყველა მათგანში  $R_1$  ემთხვევა შეთანხმებულ  $R_1$ -ს, მოაშორებს შეტყობინებებს ამ რიცხვს, მოაწერს ხელს ყველა შეტყობინებას, აურევს მათ რიგით მიმდევრობას და  $S_A(E_B(V, R_2))$  სახის შეტყობინებებს გაუზიარებს გიას. გია მიიღებს ყველა შეტყობინებას, აურევს მათ, მოაშორებს ანის ხელმოწერას, დარწმუნდება რომ მისი ბიულეტენი არის ამ შეტყობინებაში, თვითონ მოაწერს ხელს და  $S_G(E_B(V, R_2))$  სახის შეტყობინებას გადაუზიარებს ბექას.

მეოთხე ეტაპზე ბექა მიიღებს რა გიასაგან ყველა  $S_G(E_B(V, R_2))$  სახის შეტყობინებას, მოხსნის გიას ხელმოწერას, დარწმუნდება, რომ მისი ბიულეტენი არის მათ შორის, თვითონ მოაწერს ხელს და  $S_B(E_B(V, R_2))$  სახის შეტყობინებას გაუზიარებს არჩევნების ყველა მონაწილეს.

მესუთე ეტაპზე ყველა მონაწილე მოხსნის ბექას ხელმოწერას მიღებულ შეტყობინებებს, დარწმუნდება რომ მისი ბიულეტენი მონაწილეობს არჩევნებში და გაუზიარებს ბექას შეტყობინებას ამის შესახებ. თუ არჩევნების მონაწილე რომელიმე პირი აღმოაჩენს, რომ მისი ბიულეტენი არ მიუღია ბექას, ის ამის შესახებ შეტყობინებს უზიარებს არჩევნებში მონაწილე ყველა პირს.

იმისათვის, რომ არ შეიკრან ანი, ბექა და გია, რაც მათ მისცემთ საშუალებას გაიგონ თუ კონკრეტულმა ამომრჩეველმა ვის მისცა ხმა, შესაძლებელია ბექა და გია არჩეულნი იქნან ხელახლა ყოველი კენჭისყრის დროს.

მეექვსე ეტაპზე ხდება არჩევნების შედეგების დათვლა. ბექა გახსნის ყველა ბიულეტენს და გამოაქვეყნებს შედეგებს  $R_2$  სიდიდის მითითებით.

ყველა დარწმუნდება, რომ არჩევნები ჩატარდა სწორად და ადასტურებს ამას.

როგორც ვხედავთ, აღწერილი პროტოკოლი აკმაყოფილებს ზემოთხაზოვლილ კრიტერიუმებს.

- რადგანაც წინასწარ ცნობილია არჩევნებში მონაწილეთა ვინაობა და რაოდენობა, არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას პირი, რომელსაც ამის უფლება არა აქვს. ანი ამას აღმოაჩენს, როდესაც დაითვლის მიღებული ბიულეტენების რაოდენობას;

- ამავე მიზეზით ერთი და იგივე პირი ორჯერ ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში;
- ვერავინ გაიგებს ვის მისცა ხმა კონკრეტულმა ამომრჩეველმა;
- ვერავინ შეცვლის არჩევნების შედეგებს.

ერთი შეხედვით, პროტოკოლის უარყოფითი მხარეა ის, რომ ბექა ყველაზე პირველი იგებს არჩევნების შედეგებს, მაგრამ ეს დამახასიათებელია ნებისმიერი სახით ჩატარებულ არჩევნებისათვის.

იმისათვის, რომ პრაქტიკულად შესაძლებელი იყოს ასეთი არჩევნების ჩატარება, საჭიროა არჩევნებში მონაწილე პირებს ჰქონდეთ წვდომა კომპიუტერთან და გააჩნდეთ ელემენტარული პრაქტიკული ცოდნა **RSA** და **DSA** ალგორითმების გამოყენებისა. პირველი ალგორითმი უზრუნველყოფს შეტყობინებების დაშიფრვა – გაშიფრვის პროცესებს, მეორე კი ციფრული ხელმოწერის პროცესს. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს მინიმუმ კორპორაციული ქსელი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება ამ ალგორითმების მუშაობისათვის საჭირო გასაღებების შექმნა და განაწილება ქსელის აბონენტებს შორის.

ცხადია, რომ რაც უფრო ბევრი იქნება არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, მით უფრო გართულდება პროტოკოლის გამოყენება და მონაწილეთა გარკვეული რაოდენობის შემდეგ პრაქტიკულად გახდება შეუძლებელი.

### არჩევნების პროტოკოლი ცენტრალური საარჩევნო კომისიით (ცსკ).

როდესაც არჩევნებში მონაწილეობს ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა, უკვე აუცილებელი ხდება არჩევნების ორგანიზაციისათვის საარჩევნო კომისიის შექმნა, რაც კიდევ უფრო აართულებს საარჩევნო ტექნოლოგიებს. აქ დგება ორი მთავარი მომენტი, დავიცვათ არჩევნების პროცედურა არაკეთილსინდისიერი ამომრჩეველების ან ამომრჩეველთა ჯგუფებისაგან და დავიცვათ არჩევნები არაკეთილსინდისიერი საარჩევნო კომისიისაგან. რადგანაც საარჩევნო კომისიას არჩევნებში გააჩნია უფრო მეტი უფლებები, ვიდრე ამომრჩეველებს, შესაბამისად უფრო ძნელია არჩევნების პროცესის დაცვა საარჩევნო კომისიისაგან. ასე მაგალითად, როგორც არ უნდა იყოს საარჩევნო სისტემა და როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიებიც არ უნდა გამოვიყენოთ, თითქმის შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ იმ ამომრჩეველთა ხმების გამოყენება თავისი მიზნებისათვის არაკეთილსინდისიერი საარჩევნო კომისიის მიერ, რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში (აქ ლაპარაკია კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე).

მეორე მთავარ მომენტს წარმოადგენს მესამე კრიტერიუმი, ანუ როგორ დავიცვათ ამომრჩეველის ანონიმურობა საარჩევნო კომისიისაგან, რომელიც არიგებს საარჩევნო ბიულეტენებს და შემდეგ შევსებულ ბიულეტენს ღებულობს ამომრჩეველისაგან. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების დროს ბიულეტენის დარიგებას შეესაბამება ამომრჩეველისათვის საიდენტიფიკაციო ეტიკეტის მინიჭება, რაც ერთის მხრივ ადასტურებს ამომრჩეველის უფლებას მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და მეორეს მხრივ, როდესაც გამოქვეყნდება არჩევნების შედეგები, ამომრჩეველი დარწმუნდება სწორად გაითვალისწინეს თუ არა მისი ხმა. მაგრამ თუ არ მოხდება ამომრჩეველის პიროვნებისა და საიდენტიფიკაციო ეტიკეტის ერთმანეთისაგან გახლეჩვა, საარჩევნო კომისია ადვილად დაადგენს თუ კონკრეტულმა ადამიანმა ვის მისცა ხმა. დღეს [5,6] ამ პროცედურის შესასრულებელ ძირითად ტექნიკურ ინსტრუმენტად გამოიყენება **ANDOS (All or Nothing Disclosure Of Secret)** პროტოკოლი [9,10], რომელიც წარმოადგენს პროტოკოლს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის რაიმე წყაროდან ინფორმაციის ისე მიღებას, რომ ინფორმაციის მფლობელი ვერ გაიგებს რა ინფორმაცია მიიღო აბონენტმა. იმისათვის რომ ამ პროტოკოლმა იმუშაოს, საჭიროა რამდენიმე მომხმარებელი (მინიმუმ ორი) ერთდროულად ასრულებდეს ამ პროტოკოლს საარჩევნო კომისიასთან ერთად, მაგრამ თუ გვეყოლება არაკეთილსინდისიერი ამომრჩეველები და ისინი შეიკვრიბიან, მაშინ ისინი შეძლებენ საარჩევნო კომისიის მოტყუებას და გაიგებენ ყველა საიდენტიფიკაციო ეტიკეტს (საიდენტიფიკაციო ეტიკეტი წარმოადგენს პრაქტიკულად დიდ მარტივ რიცხვს), რასაც გამოიყენებენ თავისი მიზნებისათვის. გარდა ამისა, ეს პროტოკოლი საკმაოდ რთულია და შესასრულებლად მოითხოვს დიდ დროს, რაც ეჭვქვეშ აყენებს ამ პროტოკოლის გამოყენების შესაძლებლობას, როდესაც საქმე ეხება არჩევნებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ჩვენი აზრით შესაძლებელია **ANDOS** პროტოკოლი შეიცვალოს მეორე, უფრო მარტივი პროტოკოლით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს იგივე მიზნებს. ესაა ე.წ. სრულიად “ბრმად” ხელმოწერის ალგორითმი [11], რომელიც იყენებს **RSA** ალგორითმს და რომლის პრინციპიც მდგომარეობს შემდეგში: დავუშვათ, ანის სურს ხელი მოაწერინოს ბექას რაიმე დოკუმენტზე ისე, რომ ბექამ არ იცოდეს მისი შინაარსი. ამისათვის ანი შენიღბავს ამ ინფორმაციას და გაუგზავნის ბექას, რომელიც მოაწერს მას ხელს. ამის შემდეგ ანი მოხსნის შენიღბვას და დარჩება ხელმოწერილი დოკუმენტი, ამასთან ბექას არ შეუძლია დააკავშიროს ხელმოწერილი დოკუმენტი ხელმოწერის პროცესთან მაშინაც კი, თუ ის ინახავს ჩანაწერებს თავის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების შესახებ, ის ვერ შეძლებს განსაზღვროს როდის მოაწერა ხელი

ამა თუ იმ დოკუმენტს და ამიტომ ვერ დააკავშირებს მას კონკრეტულ პიროვნებასთან. ამ პროცედურის გამოყენებით არჩევნების პროტოკოლს ექნება შემდეგი სახე:

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება საარჩევნო სიები, ამომრჩეველს მიეცემა წვდომა ცსკ -ს მიერ შექმნილ საიდენტიფიკაციო ეტიკეტების ბაზასთან (ეს ბაზა წარმოადგენს დიდ მარტივ რიცხვებს, რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამომრჩეველთა რაოდენობა). ამომრჩეველი ამოირჩევს საიდენტიფიკაციო ეტიკეტს, შენიღბავს მას და ხელს მოაწერინებს ცსკ -ს. ამის შემდეგ მოხსნის შენიღბას და მიიღებს მარტივ რიცხვს  $p_i$ . შემდეგ ის აირჩევს ორი ცვლადის კრიპტოგრაფიულ  $h_B(x, y)$  ჰეშ- ფუნქციას და ცსკ -ს გაუზიარებს  $(p_i, h_B(p_i, V_B))$ . ცსკ ადასტურებს ბიულეტენის მიღებას, გამოაქვეყნება რა  $h_B(p_i, V_B)$ - ს. მაშინ ამომრჩეველი უზიარებს ცსკ-ს  $(p_i, h_B^{-1})$ , რის საფუძველზეც ცსკ-ს შეუძლია გახსნას  $V_B$ . მან იცის კავშირი  $p_i$  და  $V_B$  შორის, მაგრამ არ იცის კავშირი  $B$  ამომრჩეველსა და  $p_i$  - ს შორის. როდესაც არჩევნები დამთავრდება და ცსკ გამოაქვეყნებს შედეგებს, თუ კონკრეტული ამომრჩეველი აღმოაჩენს, რომ მისი ხმა არასწორადაა დათვლილი, ის უზიარებს ცსკ-ს  $(p_i, h_B(p_i, V_B), h_B^{-1})$  სიდიდეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ამომრჩეველის ხმა დათვლილია არასწორად.

ამ ალგორითმში არის კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გამოსწორებული. მიუხედავად იმისა, რომ საიდენტიფიკაციო ეტიკეტების რაოდენობა გაცილებით აღემატება ამომრჩეველთა რაოდენობას, მაინც შეიძლება ისე მოხდეს, რომ ორმა (ან მეტმა) ამომრჩეველმა აირჩიოს ერთი და იგივე საიდენტიფიკაციო ეტიკეტი. ამას ცსკ ადვილად აღმოაჩენს, როდესაც სხვადასხვა ჰეშ-ფუნქციებთან ერთად მოვა ერთი და იგივე  $p_i$ . მაშინ ცსკ აქვეყნებს წყვილს  $(p_i', h_B(p_i', V_B))$ . ამ წყვილის მეორე კომპონენტი ამომრჩეველს მიანიშნებს, რომ მის საიდენტიფიკაციო ეტიკეტთან მიმართებაში პრობლემაა და ამიტომ ის ცსკ-ს უზიარებს ახალ წყვილს  $(p_i', h_B(p_i', V_B))$ , რაც ნიშნავს, რომ ამომრჩეველმა შეცვალა საიდენტიფიკაციო ეტიკეტი.

აღწერილი ალგორითმის პრაქტიკული რეალიზაცია მოითხოვს ამომრჩეველისაგან გარკვეული უნარ-ჩვევების ცოდნას კომპიუტერის გამოყენების სფეროში, მაგრამ ეს ადვილად მისაღწევია, თუკი იქნება სურვილი ასეთი სახით არჩევნების ჩატარებისა. ტექნიკური უზრუნველყოფისათვის კი პირველ ეტაპზე შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები, რომლებიც აღჭურვილი იქნება კომპიუტერებით და გამოყენებული იქნას ინტერნეტი.

## ელექტრონული არჩევნების კრიპტოგრაფიული პროტოკოლების შესახებ მ.რაზმაძე, ზ.ქოჩლაძე, ა.ჯიქია

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ელექტრონული ხმის მიცემის (ელექტრონული არჩევნების) სისტემები. განხილულია ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ასეთი სისტემები და ის სირთულეები, რომელთა გადალახვაც საჭიროა ასეთი სისტემების შექმნის დროს.

ნაშრომში აგებულია ორი პროტოკოლი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ელექტრონული არჩევნების დროს. პირველი პროტოკოლი – არჩევნების პროტოკოლი საარჩევნო კომისიის გარეშე შეიძლება გამოყენებული იყოს მაშინ, როდესაც არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი შეზღუდულია, ხოლო მეორე პროტოკოლი – არჩევნების პროტოკოლი ცენტრალური საარჩევნო კომისიით განკუთვლილია ფართომაშტაბიანი არჩევნებისათვის.

## ABOUT OF CRYPTOGRAPHY PROTOCOLS OF ELECTRONIC VOTING

M.Razmadze, Z.Kochladze, A.Jikia

### Abstracts

The topic of electronic voting is discussed in the research. The problem of creation of e-government is actual present day.

In the article “About of Cryptography Protocols of Electronic voting“ is discussed the problem of formation of two types of protocols: one is without Centralized Election Commission and another with Centralized Election Commission. First protocol can be implemented for election with small number of voters and second, when the number of voters is large.

#### ლიტერატურა:

1. Federal Election Commission. Voting System Standards, 2001.  
[http:// fecweb1.fec.gov/pages/vss/vss.html](http://fecweb1.fec.gov/pages/vss/vss.html)
2. Schneier, Bruce (September 2004), open Democracy **What ' s wrong with electronic voting machines?**  
<http://www.schneier.com/essay - 068.html>
3. Schneier on Security – **Voting Software and Secrecy**  
[http://www.schneier.com/blg/archives/2006/10/voting\\_\\_software.html](http://www.schneier.com/blg/archives/2006/10/voting__software.html)
4. **Electronic voting and Democracy.** <http://www.electronic-voting.otg/>
5. Bruce Schneier, Applied Cryptography, John Wiley & Sons, Inc.
6. Hannu Nurmi, Arto Salomaa and Lila Santean Secret Ballot Elections in Computer Networks. computers & Security, 10 (1991) 553 – 560.
7. A. Salomaa, Public-key Cryptography , Spring – Verlag 1990.
8. R. DeMillo, M. Lynch and M. Merritt “Cryptographic Protocols”, Proceedings of The 14<sup>th</sup> Annual Symposium on the Theory of Computing, 1982, pp. 383 – 400.
9. A.Salomaa and L. Santean, “Secret Selling of Secrets with Many Buyers,” ETACS Bulletin, v.42,1990, pp.178-186.
10. M. Santha and U.V.Vazirani, “Generating Quasi-Random Sequences from Slightly Random Sources,” Proceedings of 25<sup>th</sup> Annual Symposium on the Foundations of Computer Science, 1984, pp.434-440.
11. D.Chaum, “Blind Signatures for Untraceable Payments,” Advances in Cryptology: Proceedings of Crypto 82, Plenum Press, 1983, pp,199-203.

## THE COMPUTER MODEL OF GEORGIAN AND ENGLISH SCIENTIFIC TEXTS

T.Tsilosani

It is such necessary to create the mathematical models of text formation for automatic text remake. For example, it is very interesting to reveal the empyreal distributions of linguistic units for different types of texts.

The major task is to compare the distributions of linguistic units with theoretical distributions lows. This problem is not solved to day.[1]

We mast conclude which theoretical lows of distribution, will be necessari to pick out the terminology words in texts, to discuss for which parts of speech can we belong the linguistic units. This problem is the problem of text automatic translate.[2]

he task of this problem is to construct the probability- statistical “ filter”, which helps us to recognize the terminology words and which part of speech belongs the pick out words. It will be used some theoretical lows of distributions to solve this problem. It will be used Georgian and English scientific texts. [3]

In first we must create the frequency dictionary of Georgian and English scientific texts. In second, we must pick out the word forms and put them into our probability “ filter”. In third, we must discuss about linguistic results. This everything may be possibility, if we construct some computer program, which gives us opportunity to compare the empirical distributions of word forms with theoretical distributions.

This computer program may be used for ever texts in ever languages, therefore, this research may be belong application task of science. Investigation in this direction are actual not only in respect of construction of methods of statistic estimates of linguistic phenomena, but more over, also in respect of analysis of statistic regularities of language as a whole.

Present work is realized in channel of modern searches of inherent statistic parameters of Georgian and English scientific texts. It was used program language “Basic”.

This searches were realized to exposing the modal and diagnostic forse of five theoretical laws of distributions (namely: Gaussian, Poisson, Chebanov- Fuks, Binomial and Lognormal distributions), being relative to Georgian synthetic and English analytic art texts, their styles and under languages. The principles of using this model of distributions for formal establishing the lexiso-gramatic natur of saporate wordusage in the text were determined.

Complex of this distributions were presented as diagnostic filter, which could show us, with definite probability, to which of lexico- grammatic class were belong given wordusage.

The algorithm of text processing is shown in[5]. In first step was nessesary to create the frequency list of Georgian and English scientific texts. All the words of frequency list “active”zone were investigated, and then the selective analysis was used with constant increase of interval between selected groups of word-forms. In all 400 Georgian and 300English word-forms were selected for comparison.

The fololwing characteristics were investigated:

$N_k^\alpha$  - the number of series of a certain lenth  $k$ , to which the text set with capacity  $\alpha$  is represented.

$F_i'$  - absolute frequency, which the investigated unit wasfound certain numberof series.

$m_{F_i'}$  - the number of intraserialselections, in which the investigated unit was found with frequency  $F_i'$ . Here

$$N_k^\alpha = \sum_i m_{F_i'}$$

The  $m_{F_i'}$ -quantity of series in which the word-form appeared the given frequency.  $F_i'$  was determined for each investigated word-form aqnd by all options of  $N_k^\alpha$  according to the scheme of formation text. These frequencies were sorted ascending from  $F'_{\min}$  to  $F'_{\max}$ . Thus, the construction of regulated empirical variation rows of frequencies for text with  $N_k^\alpha$  length of intra- serial samples was maintained.

These rows were as follows:

$$F'_{\min}, \dots, F'_1, \dots, F'_{\max}$$

$$M_{F'_{\min}}, \dots, M_{F'_1}, \dots, M_{F'_{\max}}$$

For constructing continuous variations rows the division of empirical rows on certain number of enlarged classes was achieved by with the establishmentof a division step(interva)  $\Delta F_i''$ , which was considered constant for

each analysed unit and calculated according Sterger’s formula.  $\Delta F_i'' = \frac{F'_{\max} - F'_{\min}}{r}$  where  $r = 1 + \log_2 N_k^\alpha$

Thus, distributions, used for comparison will be written down by the following way:

1. Normal distribution

$$P_{F_i} = \frac{\Delta F_i''}{\sigma \sqrt{2\pi}} e^{-\frac{(F_i''-a)}{2\sigma^2}} \quad \text{where } a = \frac{\sum_i F_i'' m_{F_i''}}{N_k^\alpha} \text{ is the mathematical expectation.}$$

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum_i (F_i''-a)^2 m_{F_i''}}{N_k^\alpha}} \text{ is the standard deflexion.}$$

2. Log- normal distribution

$$P_{F_i''} = \frac{\Delta F_i'}{\sigma' F_i'' \sqrt{2\pi}} e^{-\frac{(\ln F_i''-a')^2}{2(\sigma')^2}} \quad \text{where } a' = \frac{\sum_i m_{F_i''} \ln F_i''}{N_k^\alpha}$$

$$\sigma' = \sqrt{\frac{\sum_i (\ln F_i''-a')^2 m_{F_i''}}{N_k^\alpha}}$$

3. Poisson distribution

$$P_{F_i'} = \frac{a^{F_i'}}{F_i'^!} e^{-a} \quad \text{when } a = \frac{\sum_i F_i' m_{F_i'}}{N_k^\alpha}$$

4. Cebanov- Fucks distribution

$$P_{F_i'} = \frac{(a-1)^{F_i'-1}}{(F_i'-1)!} e^{-(a-1)} \quad \text{where } a = \frac{\sum_i F_i' m_{F_i'}}{N_k^\alpha}$$

5. Binomial distribution

$$P_{F_i'} = \frac{N_k^\alpha}{m_{F_i'}!(N_k^\alpha - m_{F_i'})!} \left(\frac{m_{F_i'}}{N_k^\alpha}\right)^{m_{F_i'}} \left(1 - \frac{m_{F_i'}}{N_k^\alpha}\right)^{N_k^\alpha - m_{F_i'}}$$

For  $X^2$  distribution

$$\chi^2 = \sum_i \frac{(m_{F_i'} - N_k^\alpha P_{F_i'})^2}{N_k^\alpha P_{F_i'}}$$

Thus, complex of this distributions are presented as diagnostic filter, which could show us, with definite probability, how to recognize the terminology words and which part of speech belongs the pick out words.

The following conclusions for Georgian and English scientific texts was made:

1. With the increase of the ordinal number in the frequency list, the number of nouns subordinate to Normal, Log-normal and Chebanov-Fucks lows, but then there is a step rise in the number of nouns, which distributions subordinates to Poisson and Binomial lows.
2. Verbs, adjectives, pronouns, numerals and adverbs with high frequency subordinate to almost all of analyzed lows.
3. Adjective, numerals, adverbs and conjunctions with high frequency subordinate to all five laws of distribution. With increase to ordinal number they subordinate to normal and log-normal and then to Chebanov-Focks law. The spheres of activity of Poisson and binomial laws remain invariable.
4. With the increase of ordinal number in frequency lists of Georgian and English scientific technical texts the general tendency narrowing spheres of activity of Gaussian, Chebanov- Fucks and log-normal lows is observed.
5. The spheres of activity of binomial and Poisson laws are stable or extend with the increase of ordinal number of word- forms in frequency list of Georgian and English scientific- technical texts. Accordingly, these laws can be used for word-forms, taken from different zones of the frequency list.

Subordination of Georgian and English parts of speech to selected five theoretical distribution laws is of same character, in spite of the fact that English is an analytical (elective- isolating) and Georgian is a synthetically (elective- agglutinative) language. Apparently, the influence of general rules of statistic texts structuring, operating in condition of the 'genre', more exactly in condition of the sub- language is revealed here. It is important to mention that in Georgian as well as in English scientific- technical texts the word- forms, which have no subordinate to any of the above mentioned distribution laws, were terminological for the given them.

## THE COMPUTER MODEL OF GEORGIAN AND ENGLISH SCIENTIFIC TEXTS

T.Tsilosani

A scheme of computer comparing the empirical distributions of lexical units with five theoretical laws of distribution (normal, log- normal, Poisson, Chebanov – Fucks, binomial) for Georgian and English scientific texts is considered. The results are obtained.

### References

- 1.Бектаев К. Б. Лукьяненко К.Ф. О законах распределения единиц письменной речи. Сб. «Статистика речи и автоматический анализ текста». «Наука», Ленинград,1971
- 2.Кокочашвили Т.Г. Чхенкели А.И. О выявлении эмпирических законов распределения лексических единиц в текстах с помощью ЭВМ. Труды ТГУ. Серия «Кибернетика и прикладная математика» Т. 258,6. Тбилиси, 1985.
3. Кокочашвили Т.Г, Цилосани Т.П. , Беришвили Г.Ш. Исследование законов распределения лексических единиц в грузинских научно- технических текстах. Труды ТГУ. Серия «Кибернетика и прикладная математика» Т. 258,6. Тбилиси, 1985.

**გენეტიკური ალგორითმების გამოყენება სემანტიკურ web-ში**  
 გ.ბესიშვილი, მ.ხაჩიძე

გენეტიკური ალგორითმი ცოცხალი ბუნებისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებების განმაზოგადოებელი და იმიტატორია, როგორცაა: ბუნებრივი გადარჩევა, გარემოს პირობების ცვლილებებთან შეგუება, შთამომავლობის, მემკვიდრეების მიერ მშობლებისაგან მიღებული მნიშვნელოვანი სასიცოცხლო თვისებების მემკვიდრეობით მიღება. ალგორითმი ძეხვის პროცესში იყენებს არა თვითონ პარამეტრებს არამედ ამ პარამეტრთა კოდირებულ მნიშვნელობებს. ამიტომ ის შეიძლება გამოვიყენოთ დისკრეტული ოპტიმიზაციის ამოცანებში, როგორც რიცხვით სიმრავლეებზე, ასევე ნებისმიერი ბუნების სასრულ სიმრავლეებზე. რადგანაც ალგორითმი მუშაობისას პროცესში არ იყენებს არც წარმოებულებს და არც სხვა რაიმე მახასიათებლებს, ამიტომ მოცემული ალგორითმი შეიძლება გამოვიყენოთ ფართო კლასის ამოცანების ამოსახსნელად და კერძოდ, ისეთი ფუნქციებისათვისაც რომელთა ანალიტიკური სახე არ არსებობს. საწყისი წერტილრბის ერთობლიობის ფორმირება ხდება ამოცანის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გენეტიკური ალგორითმის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ეს მეთოდი ძლიერ მოქნილია და იმის გათვალისწინებით, რომ გარემო პირობების შესახებ შეიძლება ცნობილი იყოს მხოლოდ მინიმალური ინფორმაცია (როგორც ეს ხშირად ხდება რთულ ტექნიკურ სისტემებში) გენეტიკური ალგორითმები წარმატებით მუშაობენ პრობლემათა ფართო წრეში და განსაკუთრებით ისეთ ამოცანებში, სადაც დღემდე არ არსებობს ამონახსნის საყოველთაოდ ცნობილი ალგორითმები ან ძალიან მაღალია აპრიორული განუზღვრელობის ხარისხი [1, 2].

გენეტიკური ალგორითმი – აღწერა, მუშაობის პრინციპი

მოსემულია:  $S$  – სტრიქონი,  $l$  – სიგრძის; სასრული ალფაბიტის  $s$  – სტრიქონი;  $V_i$  – ალტერნატივების საწყისი სიმრავლე.

$$s = (s_1, s_2, \dots, s_l)$$

ითეული შეიძლება წარმოვადგინოთ  $V_i$  ალფაბიტით  $i = \overline{1, L}$

$$s_i \circ V_i, \text{ სადაც } V_i = \{v_{ij}, j = \overline{1, r_i}\},$$

$W$  ამოცანის ამოხსნა:  $W$  –ს ასახვა სათანადო სიგრძის სტრიქონების სიმრავლეზე (სტრიქონის სიგრძე დამოკიდებულია გამოყენებულ ალფაბიტზე).

$U_{(v_1, v_2, \dots, v_m)}^m$  სტრიქონების სიმრავლეზე განვსაზღვროთ არაუარყოფითი  $F(S)$  ფუნქცია ხარისხის მაჩვენებელით, სტრიქონის ფასით  $SOU_{(v_1, v_2, \dots, v_m)}^m$ . ალგორითმი ეძებს სტრიქონს რომლისთვისაც

$$F^*(s) = \arg \max_{S \in U_{(r_1, r_2, \dots, r_m)}^m} F(S).$$

თუ  $W$  სიმრავლეზე მოცემული მიზნის ფუნქციაა  $f(w)$ , მაშინ  $F(S)$  ფუნქცია  $U_{(v_1, v_2, \dots, v_m)}^m$  სტრიქონების სიმრავლეზე განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

$$F(S) = f(w) \quad \text{თუ } w \text{ ელემენტი } W \text{ –ს ასახვისას სტრიქონების სიმრავლეზე ეთანადებოდა } S \text{ სტრიქონს.}$$

გენეტიკური ალგორითმი ერთ ბიჯზე ამუშავებს სტრიქონების რაღაც პოპულაციას.  $G(t)$  არის  $t$ -ბიჯის პოპულაცია და წარმოიდგინება:

$$G(t) = (S_1^t, S_2^t, \dots, S_N^t), \text{ სადაც } S_k^t \in U_{(v_1, v_2, \dots, v_m)}^m, k = \overline{1, N},$$

$N$ - პოპულაციის ზომაა. და პოპულაციაში შეიძლება სტრიქონები მეორდებოდეს.

ალგორითმის მუშაობის მექანიზმის აღსაწერად შემოვიტანოთ სქემის აპარატო. გენეტიკურ ალგორითმებში სქემას უწოდებენ სტრიქონების რაიმე ქვესიმრავლის აღწერას. სქემა  $H = (h_1, h_2, \dots, h_m)$  შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტრიქონი, რომლის ელემენტების ალფაბიტს დამატებული აქვს # სპეციალური სიმბოლო.

$$H \in U_{(v^H_1, v^H_2, \dots, v^H_m)}^m, v_i^H = v_i \cup \{ \# \}$$

თუ რომელიმე  $r$  აბზაცში გვხვდება # მაშინ მას თავისუფალ პოზიციას ვუწოდებთ.

გენეტიკური ალგორითმი - ძირითადი ოპერატორები აღწარმოება, შეუღლება და მუტაცია.

აღწარმოება – ამორჩევის პროცესი.  $K*N$  სტრიქონიდან ამორჩევა  $G(t)$  პოპულაცია (ამორჩევა შემთხვევითია):



$$P_{\text{ამორჩევი}}(S_i^t) = \frac{F(S_i^t)}{\sum_{k=1}^N F(S_k^t)}$$

$S_i^t$  სტრიქონის ამორჩევის ალბათობაა მისი კლასის პროპორციულია. ამორჩევის პროცესი გრძელდება,  $G(t+1)$  პოპულაციაში  $S_i^t$  სტრიქონების ეგზემპლარების რაოდენობა  $n_{\text{ამორჩევი}}(S_i^t) = P_{\text{ამორჩევი}}(S_i^t) \cdot K \cdot N$ .

აღწარმოების ოპერაცია ადიდებს შემდგომში პოპულაციების ფასს, ყველაზე უფრო ფასიანი სტრიქონები რაოდენობის ზრდის ხარჯზე.

ვთქვათ  $G(t)$  პოპულაციაში გვაქვს  $n(H, t)$  სტრიქონი, რომელიც აკმაყოფილებს  $H$  სქემას. მაშინ აღწარმოების შემდეგ  $G(t+1)$  პოპულაციაში  $H$  სქემას დამაკმაყოფილებელი სტრიქონების რაოდენობა იქნება:

$$n(H, t+1) = \sum_{i=1}^{n(H,t)} (K \cdot N \cdot P_{\text{ამორჩევი}}(S_i^{H,t})) = K \cdot N \frac{\sum_{i=1}^{n(H,t)} F(S_i^{H,t})}{\sum_{j=1}^{n(H,t)} F(S_j^t)}$$

საშუალო კლასის გამოსახულების გამოყენებით მივიღებთ:

$$n(H, t+1) = K \cdot \frac{n(H, t) \cdot \sum_{i=1}^{n(H,t)} F(S_i^{H,t})}{\sum_{j=1}^{n(H,t)} F(S_j^t)} = n(H, t) \cdot K \cdot \frac{F_{\text{საშ}}(G_H(t))}{F_{\text{საშ}}(G(t))}$$

$F_{\text{საშ}}(G_H(t)) = F(G_H(t)) + C \cdot F_{\text{საშ}}(G(t))$   $C$  რაიმე ცვლადია.

$$n(H, t+1) = n(H, t) \cdot K \cdot \frac{F_{\text{საშ}}(G(t)) + C \cdot F_{\text{საშ}}(G(t))}{F_{\text{საშ}}(G(t))} = (1 + C) \cdot K \cdot n(H, t)$$

აღწარმოების პროცესის შედეგად იზრდება იმ სქემის წარმომადგენელთა რაოდენობა, რომელთა შესაბამისი ქვეპოპულაციებს გააჩნიათ საშუალოზე მაღალი საშუალო ფასი.

შეუღლების პროცესის დროს ხდება სტრიქონების ელემენტების შემთხვევითი შეცვლა. შემთხვევით აირჩევა შეუღლების წერტილი. უტაციის ალბათობა საზოგადოდ მცირეა [2, 3].

### სემანტიკური ქსელი ანუ Semantic Web

სემანტიკური ქსელი ანუ Semantic Web – ეს არის ფორმატების და ენების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა ინტერნეტში განთავსებული სხვადასხვა მონაცემები მოძებნოს სხვადასხვა ფორმატში, მოახდინოს მათი შეკრება, გაანალიზოს და მომხმარებელს მიაწოდოს მისთვის გასაგებ ფორმაში.

ამ მიზნით web კონსორციუმის მიერ შემუშაბეულია Semantic Web Activity პროგრამა. ამ პროგრამის საფუძველზე შეიქმნა რამოდენიმე ფორმატი და ენა:

**RDF ფორმატი.** Resource Description Framework (RDF) ქსელში ონფორმაციის განსაზღვრისათვის გამოიყენება. მონაცემთა თითოეულ ბლოკს და ყოველი ორი ბლოკის კავშირს მიენიჭება უნიკალური სახელი, ეგრეთწოდებული რესურსის უნივერსალური იდენტიფიკატორი (Universal Resource Identifier, URI), ყველასათვის ცნობილი ვებ-მისამართები (Universal Resource Locators, URL) რომელთაც ჩვენ ხშირად ვსარგებლობთ არიან URI-ს კერძო ფორმები. RDF სქემებში ინფორმაციის ორი ბლოკი და მათ შორის აღმნიშვნელი ნებისმიერი კავშირი გაერთიანდება სამეულში. მაგალითად:


<Uri for Flipper> <Uri for ISA> <Uri for Dolphin>

<http://en.wikipedia.org/wiki/dolphin>

**ონტოლოგიის ენები.** Web Ontology Language (OWL) ეს არის ერთ-ერთი ის სტანდარტი, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა ტერმინები და განსაზღვრებები ურთიერთ თავსებადი და გასაგებია RDF ფორმატისათვის.

ლოგიკური გამოყვანის მანქანა. სვადასხვა წყაროებს შორის კავშირების ამოცნობა (გამოცნობა) – მნიშვნელოვანი ეტაპია ინფორმაციის “აზრობრივი” გამოვლენის გზაზე. RDF სამეულის შესწავლის შემდეგ ლოგიკური გამოყვანის მანქანა აკეთებს დასკვნას. RDF და ონტოლოგიის შემდეგი დონე არის ლოგიკური გამოყვანის მანქანა.

სხვა ტექნოლოგიები. ვებ კონსორციუმი შეიმუშავებს ლოგიკური გამოყვანის დასკვნების მანქანებს და სვადასხვა ტექნოლოგიებს. მათ შორის. SPARQL – შეკითხვების ენა – ეძებოს RDF მონაცემებში კონკრეტული ინფორმაცია და GRDDL-ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მომხმარებელმა იმ ფორმატში გამოაქვეყნოს მონაცემები რომლითაც ის მუშაობს, მაგ. HTML ან XML და განსაზღვრავს განახორციელოს ამ მონაცემების გადაყვანა RDF მონაცემებში.



გენეტიკური ალგორითმის ბლოკ-სქემა

რომელი გენები იწვევენ გულის დაავადებებს.

სხვადასხვა ტიპის მონაცემებთა ბაზების და სამეცნიერო შრომების შესწავლის და ანალიზის შედეგად სემანტიკური ქსელის მეშვეობით გამოვლენილი იქნა ამ დაავადების ხელშემწყობი ასამდე საეჭვო გენი:

- Gene Ontology (გენები და გენური პროდუქტები);
- MeSH (დაავადებები და მათი სიმპტომები);
- Entrez Gene (გენები);
- OMIM (ადამიანის გენები და და გენეტიკური დარღვევები).

ამ მონაცემთა ბაზებიდან მოღებული მონაცემები გადაიყვანეს RDF ფორმატში და შეიტანეს სემანტიკური ქსელის მონაცემთა ბაზაში. შემდეგ გამოიყენეს Protege და Jena სემანტიკური ქსელის უფასო პროგრამები მიღებული შედეგის ინტეგრაციისათვის.

ასევე SAPPHERE (Situational Awareness and Preparedness for Public Health Incidences using Reasoning Engines) გრიპის ეპიდემიის გაგრძელების პროგნოზირების სისტემა იყენებს სემანტიკურ web-ის ტექნოლოგიას.

ლიტერატურა

1. Holand J.H. Adaptation in Natural and Artificial Systems, Ann Arbor. University of Michigan . 1975.
2. Davis L. Handbook of genetic Algorithms. HY. 1991.
3. Michalewicz Z. Genetik Algorithms+Data Structures-Evolution Programs. Springer – Verlag, 1992.
4. [www.w3.org/topic/semantic](http://www.w3.org/topic/semantic) web toobs/sw books

**სემანტიკური ალგორითმების გამოყენება სემანტიკურ web-ში**

გ.ბესიშვილი, მ.ხაჩიძე  
რეზიუმე

განხილულია ინტერნეტში სემანტიკური ქსელების (Semantic Web) ელემენტები, ფორმატი და ენა, აგრეთვე ენების ონტოლოგია, ლოგიკური გამოყვანის მანქანა და სხვა ტექნოლოგიები მონაცემთა ანალიზისათვის, კერძოდ მონაცემების მინიმიზაციისათვის (ან მაქსიმიზაციისათვის). აღწერილია გენეტიკური ალგორითმების ბუნება და მუშაობის პრინციპი. მოყვანილია სხვადასხვა პროგრამები რომლებიც ინტერნეტში ამ ტექნოლოგიებს იყენებენ.

**USING SEMANTICAL GENETICAL ALGORITHM FOR SEMANTICAL WEB**

G.Besishvili, M.Khachidze

Summary

Elements, formats and languages of semantic networks on the Internet are considered. Also, ontology, machine logical conclusions, and other technologies for data analysis, in particular the minimization (maximization) of data. described the nature and principles of genetic algorithms and the different programs that are used on the Internet.

სენ-ვენანის (მარჩხი წყლის) ორგანოზომილებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის გაწვრივებული სხვაობიანი სქემების კრებადობის შესახებ

3. მელაძე, ა. ჭანტურია

**გასაღები სიტყვები:** დიფერენციალური განტოლება, სხვაობიანი სქემა, მათემატიკური მოდელი, სქემის კრებადობა.

მარჩხი წყლის (სენ-ვენანის) თეორიის საფუძველზე, აგებულია კაშხლის ნგრევისას, გამრღვევი ტალღის ფორმირებისა და გავრცელების შემდეგი ორგანოზომილებიანი მოდელი[1]:

$$\frac{\partial Q}{\partial t} + \frac{\partial}{\partial x} F_1(Q) + \frac{\partial}{\partial y} F_2(Q) = W(Q), \quad (*)$$

$$J_1 = Hu, \quad J_2 = Hv, \quad Q = (J_1, J_2, H)^T,$$

$$F_1(Q) = (J_1 u + gH^2/2, J_1 v, J_1)^T, \quad F_2(Q) = (J_2 u, J_2 v + gH^2/2, J_2)^T,$$

$$W(Q) = (f_1(x, y, t, H, u, v), f_2(x, y, t, H, u, v), f_3(x, y, t, H, u, v))^T,$$

$$H(x, y, 0) = H_0(x, y), \quad u(x, y, 0) = u_0(x, y), \quad v(x, y, 0) = v_0(x, y),$$

სადაც  $x$  და  $y$  ეილერის კოორდინატებია,  $t$ - დრო,  $g$ - თავისუფალი ვარდნის აჩქარება,  $v(x, y, t)$  და  $u(x, y, t)$  სიჩქარის ვექტორის კომპონენტები შესაბამისად  $x$  და  $y$  ღერძების მიმართ,  $J_1(x, y, t)$  და  $J_2(x, y, t)$ -ნაკადის იმპულსის კომპონენტებია ( $x$  და  $y$  ღერძების მიმართულებით),  $H(x, y, t)$ -ნაკადის სიღრმე, ხოლო  $H_0(x, y)$ ,  $u_0(x, y)$  და  $v_0(x, y)$ -შესაბამისად, ნაკადის სიღრმისა და სიჩქარეების განაწილების ფუნქციები დროის საწყისი მომენტისათვის,  $f_1(x, y, t, H, u, v)$ ,  $f_2(x, y, t, H, u, v)$ ,  $f_3(x, y, t, H, u, v)$ -მასისა და იმპულსის წყაროების აღმწერი ფუნქციები.

კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების შესწავლისას წარმოქმნილი სიძნელეები ძირითადად განპირობებულია როგორც წესი, მათი არაწვრივობით. ნაშრომში შემოვიფარგლებით სენ-ვენანის ორგანოზომილებიანი დიფერენციალური განტოლებების (\*) წრფივი მიახლოების განხილვით. გამოკვლეულია წრფივი მიახლოებისათვის აგებული არაწვრივ რეგულარიზატორიანი გაწვრივებული სხვაობიანი სქემის კრებადობა.

ეილერის ცვლადებში ჩაწერილი გაწვრივებული სენ-ვენანის ორგანოზომილებიანი განტოლებებისათვის  $\Omega = \{(x, y, t), -\infty < x < +\infty, -\infty < y < +\infty, 0 \leq t \leq T\}$  არეში განვიხილოთ კომის ამოცანა, საწყისი პირობებით:

$$\frac{\partial u}{\partial t} + u_0 \frac{\partial u}{\partial x} + g \frac{\partial H}{\partial x} + v_0 \frac{\partial u}{\partial y} = f_1(x, y, t, H, u, v), \quad (1)$$

$$\frac{\partial v}{\partial t} + u_0 \frac{\partial v}{\partial x} + v_0 \frac{\partial v}{\partial y} + g \frac{\partial H}{\partial y} = f_2(x, y, t, H, v, u), \quad (2)$$

$$\frac{\partial H}{\partial t} + u_0 \frac{\partial H}{\partial x} + H_0 \frac{\partial u}{\partial x} + v_0 \frac{\partial H}{\partial y} + H_0 \frac{\partial v}{\partial y} = f_3(x, y, t, H, u, v), \quad (3)$$

$$H(x, y, 0) = H_0(x, y), \quad u(x, y, 0) = u_0(x, y), \quad v(x, y, 0) = v_0(x, y), \quad (4)$$

